ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 105

19 მარტი
"___" _____ 2021 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ: №01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 8 ნოემბრის №375 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში (ს/კ: №01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ოქტომბრის №19.1087.1388 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 მარტის №21.312.364 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეეცადეს ცვლილება „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ: №01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 8 ნოემბრის №375 განკარგულებაში და განკარგულების:

ა) პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუქტის, 122[1] მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტების,"ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებულის წესის მე-2 მუხლის მე-13

პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 მარტის №21.312.364 განკარგულების საფუძველზე“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში მდებარე შენობა-ნაგებობა №1 ის (საკადასტრო კოდი: 01.11.12.002.061.01.502) სხვენ სართულზე არსებული 181.13 კვ.მ. ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-სთვის (ს/კ: 200160636) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პროფესიული სწავლებისთვის და დასაქმებისთვის სახელოსნოების გაწთავსების მიზნით, არაუგვიანეს 2022 წლის 31 მარტისა არაწაკლებ 15,000 (თხუთმეტი ათასი) ევროს ექვივალენტით ლარში ინვესტიციის განხორციელების პირობით, „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში (ს/კ: №01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-სთვის (ს/კ 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ოქტომბრის №19.1087.1388 გახკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 მარტის №21.312.364 განკარგულების დანართით განსაზღვრული უსასყიდლო უზუფრუქტის პირობების შესაბამისად.“;

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 28 ნოემბრამდე.“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე